



კავკასიის უნივერსიტეტი
CAUCASUS UNIVERSITY

**Honorary
Doctor**



დოქტორი სიუ ჰენდერსონი

დოქტორ ჰენდერსონს უმაღლესი განათლების სფეროში ჯორჯიის უნივერსიტეტის დოქტორის ხარისხი აქვს, ხოლო ბაკალავრისა და მაგისტრის ხარისხები მინიჭებული აქვს მათემატიკაში ჯორჯიის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ის ასევე მრავალი ჯილდოს მფლობელია პედაგოგიკასა და ადმინისტრირებაში.

დოქტორი სიუ ჰენდერსონი 2012 წელს ნიუ-ჯერსის უნივერსიტეტის მე-12 პრეზიდენტად აირჩიეს. ახლა, მისთვის მეცხრე სასწავლო წელს (2020-2021), როგორც პირველი ქალი პრეზიდენტი დაწესებულების 90 წელზე მეტი ხნის ისტორიაში. იგი ახორციელებს მთელ რიგ ტრანსფორმაციულ ინიციატივებს, რაც განაპირობებს დიდ ცვლილებებს გლობალურ საგანმანათლებლო სივრცეში.

დოქტორი ჰენდერსონი გავლენიანი NCAA მმართველთა საბჭოს ყოფილი ვიცე-თავმჯდომარეა. იგი 2019-2020 წლებში, NCAA სამმართველოს III პრეზიდენტის საბჭოს თავმჯდომარე იყო. ამჟამად NCAA-ს მრავალფეროვნებისა და ინკლუზიური კომიტეტის წევრია. იგი კოლეჯებისა და უნივერსიტეტების ესპანური ასოციაციის დირექტორთა საბჭოს წევრი და ამავდროულად HACU-ს საერთაშორისო განათლების კომისიის აღმასრულებელი საბჭოს მდივანია. დოქტორი ჰენდერსონი One to World-ის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარეა. იგი ჰადსონის ოლქის სავაჭრო პალატის დირექტორთა საბჭოს წევრია და კამპუსის კომპაქტური საბჭოს შტატის თავმჯდომარეა. ჰენდერსონი ამერიკის სახელმწიფო კოლეჯებისა და უნივერსიტეტების ასოციაციის (AASCU) საერთაშორისო განათლების კომიტეტის წევრია. გარდა ამისა, იგი არის ნიუ-ჯერსის პრეზიდენტების საბჭოს აკადემიურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე და ამერიკის განათლების საბჭოს ინტერნაციონალიზაციის კომისიის წევრი. მისი, როგორც შუა ატლანტიკური რეგიონის უმაღლესი განათლების კომისიის (MSCHE) კომისრის ვადა, დაიწყო 2018 წლის 1 იანვარს, (თავმჯდომარის ერთწლიანი პოსტის ჩათვლით (2018-19)).

მან დააარსა NJCU ბიზნესის სკოლა და გადაიტანა ჰადსონის სანაპიროზე Jersey City-ს ფინანსურ რაიონში მდებარე თანამედროვე შენობაში. დოქტორი ჰენდერსონი სათავეში ჩაუდგა 400 მილიონიანი პროექტის განხორციელებას, რომლის მიზანი იყო ინსტიტუტის დასავლეთ კამპუსის ისეთ თანამედროვე ურბანულ დასახლებად ქცევა, რომელიც მოიცავს ყველაფერს, რაც საჭიროა რეგიონის ესთეტიკური და ეკონომიკური აღორძინებისთვის. გარდა ამისა, დოქტორმა ჰენდერსონმა NJCU-ში უზრუნველყო, ყველაზე დაბალი სწავლის საფასურის შენარჩუნება ნიუ-ჯერსის საჯარო, ოთხწლიან კოლეჯებსა და უნივერსიტეტებს შორის და განახორციელა NJCU-ს პროგრამა „დევალიანების გარეშე“, რათა კოლეჯის განათლება ყველასთვის ხელმისაწვდომი გამხდარიყო.

დოქტორი ჰენდერსონი დასახელდა "NJBIZ Education Power 50" ინდექსში 2019 და 2020 წლებში და 2019 წელს იგივე რეიტინგში მე-7 პოზიცია დაიკავა. 2021 წლის თებერვალში დოქტორი ჰენდერსონი დასახელდა 2021 ROI Influencers Power List for Higher Education by ROI-NJ-ში ზედიზედ მესამედ. 2021 წლის მარტში, 2021 ROI Influencers Women in Business Top 50 სიაში მოხვდა.